



**საკასაციო  
საჩივარი  
აღმინისტრაციულ საქმეზე**

საქართველოს უზენაეს სასამართლოს

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

**კასატორი:** *შენიშვნა-1*

- 1.ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"
2. ზაზა წიკლაური
3. შოთა ბუჩუკური

სახელი, გვარი (სახელწოდება) პირადი (საიდენ.) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-2*

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-3* სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

greenalt@greenalt.org

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

**კასატორის წარმომადგენელი:** *შენიშვნა-4*

ნინო გუჯარაიძე 01015010047 თბილისი. ფალიაშვილის ქ.№38ბ. მე-4  
ირმა მახათაძე 3354 18001007618 სართული;

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი პირადი ნომერი ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

ngujaraidze@greenalt.org  
irmamakhatadze2017@gmail.com

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

**მოწინააღმდეგე მხარე:** *შენიშვნა-5*

1. საქართველოს მთავრობა
2. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№7  
0159, ქ. თბილისი, გ. გელოვანის ქ. №6

სახელი, გვარი (სახელწოდება) პირადი (საიდენ.) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-6*

ალტერნატიული მისამართი სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

**საკონტაქტო პირი:** *შენიშვნა-7*

სახელი, გვარი სახლის ტელ. მობილური ელექტრონული ფოსტა

*შენიშვნა-8*

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ



## განსახიზრებული გადაწყვეტილება

შენიშვნა-9

სასამართლოს დასახელება:	თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
მომხსენებელი მოსამართლე:	მერაბ ლომიძე
საქმის ნომერი:	33/2676-17
მიღების თარიღი:	2018 წლის 26 აპრილი

### გადაწყვეტილებას განსახიზრებ:

სრულად	<input checked="" type="checkbox"/>
ნაწილობრივ	<input type="checkbox"/>
რომელ ნაწილში?	

შენიშვნა-10

### საკასაციო მოთხოვნა (განაცხადი):

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სრულად დაკმაყოფილდება ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას", ზაზა წიკლაურის და შოთა ბუჩუკურის სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ.

შენიშვნა-11

## კასაციის საფუძვლები (მიზეზები)

### გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

შენიშვნა-12

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:

- |                                     |  |
|-------------------------------------|--|
| <input type="checkbox"/>            | საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;  |
| <input type="checkbox"/>            | სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;  |
| <input type="checkbox"/>            | სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას; |
| <input type="checkbox"/>            | გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;   |
| <input type="checkbox"/>            | გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;  |
| <input checked="" type="checkbox"/> | გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;   |
| <input checked="" type="checkbox"/> | გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;   |
| <input type="checkbox"/>            | გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;   |
| <input type="checkbox"/>            | გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;  |
| <input type="checkbox"/>            | საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.   |

დასაბუთება: სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"-ს, ზაზა წიკლაურის, შოთა ბუჩუკურის სააპელაციო საჩივრის მოტივების გათვალისწინებით არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი თვალსაზრისით არ შეუმოწმებია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსსკ-ის 394-ე მუხლის "ე" და "ე" პრიმა ქვეპუნქტების თანახმად მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

### დარღვევები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააკვეციო სასამართლოს გადაწყვეტილება

შენიშვნა-13    შენიშვნა-14

საკასაციო საჩივარი დასაშვებია სსსკ-ის 34.3 მუხლის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, რომლის თანახმადაც საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე და ამავე მუხლის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, რომლის თანახმადაც დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. კერძოდ:

1. სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის "ა", "ბ", "გ" და 394-ე მუხლის "ე" და "ე" პრიმა ქვეპუნქტების მოთხოვნები. კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად არ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

2. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია.

სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. იგივე უფლებები გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, რომელიც თავისი შინაარსით გუსლინობს არა მხოლოდ უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვის გარანტიას, არამედ სამართლიანი, გამჭვირვალე სასამართლოს უფლებას, სადაც სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტებისა და მტკიცებულებების ამომწურავად შეფასებას.

იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება(გადაწყვეტილება) არ შეიცავს მსჯელობებს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების ამომწურავად, სრულყოფილად შეფასების შესახებ და არის სრულიად დაუსაბუთებელი მიგვაჩნია, რომ სასამართლომ უხეშად დაარღვია აღნიშნული საერთაშორისო აქტის მითითებული ნორმის მოთხოვნები, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

3. გასაჩივრებული განჩინების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3. მუხლის „გ“ ქვეპუნქტით ხელმძღვანელობით სტანდარტთან დაკავშირებით (საქმე №ბს-52-52(კ-08)) და წინამდებარე საქმეზე განახორციელა შერჩევითი მართლმსაჯულება. კერძოდ: „სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტის მიხედვით: სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უცვლელად რჩება გასაჩივრებული გადაწყვეტილება და თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმსაჯულებას. მითითებული ნორმით დადგენილი პროცესუალური უფლებამოსილების გამოყენება არ უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში ამავე კოდექსის 377.1 მუხლით განსაზღვრულ სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციასა და კომპეტენციასთან, ვინაიდან სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულების განხორციელების არსი მდგომარეობს სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების ვალდებულების დადგენით. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების ვალდებულება პროცესუალურ-სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით უცილობლად გულისხმობს და მოიაზრებს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებას.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება, რომელიც აგებულია მხარეთა დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივარს აკუთვნებს მხარის უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, ამასთან, სწორედ მხარის ამ საპროცესო უფლების რეალიზაცია თანაზომიერია მხარისავე საპროცესო ვალდებულებასთან – დაასაბუთოს საჩივარი, კერძოდ,

სსსკ-ის 368-ე მუხლის პირველი ნაწილის ე) და ვ) ქვეპუნქტებში მითითებულია თუ რა უნდა იყოს ასახული სააპელაციო საჩივრის შინაარსში. მხარის ამგვარი პროცესუალური ვალდებულება შეიცავს მხარის საპროცესო უფლებრივ გარანტიას, ზემდგომმა სასამართლომ შეაფასოს მისი საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, გაიზიაროს ან უარყოს, გააქარწყლოს ისინი იურიდიულად არგუმენტირებული სახით.

სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების გამოყენება ზემომითითებული საპროცესო ნორმების ობიექტური შინაარსის კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, სააპელაციო სამართალწარმოების გახდის ზედაპირულს და განაპირობებს მის უკიდურესად ფორმალისტურ ხასიათს, რაც წინააღმდეგობაში მოდის სააპელაციო სამართალწარმოების არსსა და მართლმსაჯულების პრინციპებთან.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საპროცესო ნორმა შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს მხარის პროცესუალური უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება უნდა შეიზღუდოს, რათა არ მოხდეს მხარის საპროცესო უფლების იგნორირება, უკიდურეს შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული საპროცესო ზედამხედველობა განუხორციელებელი დარჩება.

ამდენად, საკასაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105.2 მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ სასამართლომ თითოეული საქმის განხილვისას უნდა მოიპოვოს მტკიცებულებები, სარწმუნოდ დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მისცეს მათ სამართლებრივი შეფასება და გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ საქმეზე განახორციელა ფორმალური და შერჩევითი მართლმსაჯულება, რაც გამოიხატა პალატის მიერ სსსკ-ის 390.2 მუხლის "გ" ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ამავე კოდექსის 377.1 მუხლით განსაზღვრული სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციასა და კომპეტენციის საწინააღმდეგოდ განხორციელებაში. წინამდებარე საქმეზე მართლმსაჯულების ფორმალურად განხორციელებას ადასტურებს კასატორის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული პრეტენზიები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის სრულყოფილად შესწავლისა და საპროცესო ნორმების მოთხოვნათა დაცვით სწორად შეფასების შემთხვევაში საქმეზე გამოტანილი იქნებოდა არსებითად სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები, 105-ე მუხლის მეორე ნაწილი, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები, სასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლები და არ გამოითხოვა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები და ინფორმაცია. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არ არის წარმოდგენილი სასამართლოს დასკვნები მტკიცების ტვირთის განაწილების გადაწყვეტილებაზე, პალატის მიერ ასევე განხორციელებული არ არის საქმეზე წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებების, მხარეთა ახსნა-განმარტების შეფასება სამართლებრივ შეფასებებთან კავშირში. სამართლის ნორმების შინაარსის გადაწყვეტილებაში უხვად, თუნდაც სიზუსტით გადმოტანა საქმეზე წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებების, მხარეთა ახსნა განმარტებების შეფასებასთან კავშირის გარეშე არ ნიშნავს ამ ნორმების გამოყენებას. სამართლის ნორმა, საიდანაც იურიდიულად მოქმედი სამართლებრივი შედეგი გამოდინარეობს, შეიძლება მხოლოდ მაშინ იქნას გამოყენებული, როდესაც ამ ნორმაში მოცემული ქმედების შემადგენლობის ნიშნები „განხორციელებულია“. ეს ნიშნავს, რომ არსებობს ქმედების ამა თუ იმ შემადგენლობის თითოეული ნიშნის ქვეშ სუბსუმირებადი ფაქტობრივი გარემოება. იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის/აპელანტის მიერ მითითებულია სუბსუმირებადი ფაქტობრივი გარემოებები(სარჩელში, სააპელაციო საჩივარში), რომლებიც დადასტურებულია საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით, რომ გასაჩივრებული აქტების გამოცემისას გამოყენებულ ნორმაში მოცემული ქმედების შემადგენლობის ნიშნები „განხორციელებული არ არის“ სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონსაწინააღმდეგოდ განხორციელებული საჯარო

უფლებამოსილება, შესაბამისად, საპროცესო დარღვევების გამო ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასებითა და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორი გამოყენების შედეგად საქმეზე არასწორი და უკანონო გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევა, რომელიც უნდა გაუქმდეს.

5. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს კონსტიტუციის 15.1 მუხლი, რომლის თანახმად, 1. სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი და 37.3 მუხლი, რომლის თანახმადაც ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.

ქვეყნის მოქალაქეების ამ უფლებების დაცვისა და ასევე, კონსტიტუციით დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად, საქმიანობას ან ქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან - „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის თანახმად ექვემდებარება რეგულირებას.

მოცემულ შემთხვევაში სადავო საკითხი დაკავსებულია მაღალი (500 კვ) ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტთან, რომელიც „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების (№57, 2009 წლის 24 მარტი) თანახმად, მიეკუთვნება მე-V კლასის შენობა-ნაგებობას. საგულისხმოა, რომ V კლასის შენობა-ნაგებობების მთავარი განმსაზღვრელი არის რისკის მომეტებული ფაქტორი.

სწორედ მომეტებული რისკის გამო, პროექტის მშენებლობის/განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ადრეულ (მეორე) ეტაპზევე აუცილებელი პირობაა პროექტის ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება. სასამართლოს სწორედ დასახელებულ ნორმებთან მიმართებაში უნდა განეხილა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საკითხი, რაც არც პირველი და არც სააპელაციო ინსტაციის სასამართლომ არ განახორციელა.

6. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" კანონის მე-4 მუხლის მე-5 ქვეპუნქტი, რომლის თანახმად სამინისტრო მშენებლობის ნებართვის გაცემის მე-2 სტადიაზე გასცემს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას. საქმეზე წარმოდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მასალებით დასტურდება, რომ გასაჩივრებული აქტის გამოცემისათვის ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და საშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიმართვის (2016 წლის 15 აპრილის №04/647 წერილი) საფუძველზე. მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობდა და შესაბამისად, პირველ ეტაპზე მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დადგენილი იყო „ქსნის“ ქვესადგურიდან ღუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუანამდე 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისთვის.

მშენებლობის ნებართვის გამცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ჩართო „ქსნის“ ქვესადგურიდან ღუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუანამდე 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით დაწვებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში სხვა ადმინისტრაციული ორგანოს სახით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით - გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ კანონის მე-4 მუხლის მე-5 ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტრო მშენებლობის ნებართვის გაცემის მე-2 სტადიაზე გასცემს ეკოლოგიური ექსპერტიზა დასკვნას. გარემოსა და ბუნებრივი რესურსები დაცვის სამინისტრომ კი გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დაწვებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განიხილა ქსნიდან სტეფანწმინდამდე 500 კვ. ხაზის მშენებლობის საკითხი.

საგულისხმოა ისიც, რომ სადაო აქტის გამოცემის მომენტში ღუშეთის რაიონის სოფელ ოქრუანადან სტეფანწმინდამდე ხაზის მშენებლობის პროექტი არ არსებობდა და არც მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობები იყო დადგენილი - ამ მონაკვეთზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ტექნიკური და საშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში გასაჩივრებული აქტის გამოცემიდან 5 თვის შემდეგ, 2016 წლის 1 ნოემბერს დაიწყო. მაშასადამე, სახეზეა როგორც ადმინისტრაციული ორგანოს თვითნებობა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების უხეში დარღვევა, ისე სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ ორგანოებზე სასამართლო კონტროლის ფუნქციის განხორციელების უხეში იგნორირება, რაც ცალსახად მიუთითებს საქმის განმხილველი ორივე ინსტანციის სასამართლოს დაბალ კვალიფიკაციასა და კომპეტენციაზე. ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს კიდევ უფრო მეტად ამყარებს სასამართლოების მეტად "ორიგინალური" დასკვნა იმის შესახებ, რომ მხოლოდ ის გარემოება, რომ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა შეიცავს სამომავლო საქმიანობის განხორციელებისათვის სავალდებულოდ შესასრულებელ პირობებს, თავად ეკოლოგიურ ექსპერტიზის დასკვნას კანონშეუსაბამოდ ვერ აქცევს და რომ გარემოსდაცვითი კანონმდებლობითი საქმიანობის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო აქტები თურმე არ ითვალისწინებენ დადებითი ეკოლოგიური დასკვნის პირობებში მის დამტკიცებაზე უარის თქმის შესაძლებლობას. სასამართლოს აღნიშნული დასკვნებით დასტურდება, რომ პალატას არ შეუძლოა სააპელაციო საჩივრის საფუძვლები და რომ საერთოდ არ აქვს წაკითხული და გააზრებული გარემოსდაცვითი საქმიანობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა განსახილველ შემთხვევასთან მიმართებაში ანუ იმ პირობებში, როდესაც სარჩელი, სააპელაციო საჩივარი, ახსნა-განმარტებები, მტკიცებულებების გამოკვლევა ადასტურებს იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ გარემოზე ზემოქმედების ანგარიში შედგენილი არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, როდესაც სასამართლო ერთმანეთისაგან ვერ "არჩევს" კანონმდებლობით იმპერატიულად განსაზღვრულ პირობებს, რომელსაც უნდა პასუხობდეს გარემოზე ზემოქმედების ანგარიში იმ სამომავლოდ სავალდებულოდ შესასრულებელი პირობებისაგან, ბუნებრივია, რომ შედეგად წარმოდგენილია ყოველგვარ სამართლებრივ აზროვნებას აცდენილი დასკვნა მასზე, რომ მხოლოდ ის გარემოება, როდესაც ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა შეიცავს სამომავლო საქმიანობის განხორციელებისათვის სავალდებულოდ შესასრულებელ პირობებს აღნიშნული ვერ გადააქცევს მას კანონშეუსაბამოდ ანუ სასამართლომ "მოხერხებულად" დაალაგა ფაქტობრივი გარემოებები იმგვარად, რომ თითქოსდა გარემოზე ზემოქმედების ანგარიში შედგენილია კანონშეუსაბამოდ და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დადებითი გადაწყვეტილების მიღების ყველა პირობა დაცული იყო მაშინ, როდესაც საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონსაწინააღმდეგოდ მიღების უდავო ფაქტი დადასტურდა და რაც ცალსახად მიუთითებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოს მიერ სასკ-ის 17.2 მუხლის დანაწესის გამოყენებლობას, რადგანაც ადმინისტრაციულმა ორგანოს მიერ საქმეზე წარმოდგენილი არ არის სასარჩელო მოთხოვნის, სააპელაციო საჩივრის უარსაყოფად ვარგისი და წონადი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ თავი გაართვა მტკიცების ტვირთს.

7. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის პირველი, მესამე და მეექვსე მუხლების მოთხოვნა.

კონვენციის პირველი, მესამე და მეექვსე მუხლების მოთხოვნის დარღვევას ადასტურებს სამინისტროს მიერ წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის თამარ შარაშიძის 2016 წლის 19 დეკემბრის წერილი №4840 (807-ე ფურცელი წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუმერაციით). გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის განმარტებით, ეკოლოგიური ექსპერტიზის ეტაპზე (ანუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე) გზმ-ს ანგარიშის განხილვა ვერ მოეწყობოდა სამინისტროს ორგანიაზრებით, ვინაიდან „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად საჯარო განხილვას მართავს საქმიანობის განმანხორციელებელი. მართალია, გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის



განმარტებაში რთულია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დანახვა, თუმცა ის ცალსახად ადასტურებს კონვენციის მოთხოვნების დარღვევას.

8. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლი, რაც დასტურდება საქმეზე წარმოდგენილი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილის მაია ბითაძის 2016 წლის 15 მარტის №1949 წერილით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის მოადგილეს ბატონ ასტამურ აჩბას. დასახელებულ წერილში აღნიშნულია, რომ „ვინაიდან „ენერგოტრანსი“-ს ელექტროგადამცემი ხაზი „ქსანი-სტეფანწმინდას“ ქსნის ქვესადგურიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაანამდე (პკ.0+პკ.327+44-მდე), 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მონაკვეთი წარმოდგენილია განსხვავებული კოორდინატებითა და შესაბამისად განსხვავებული, შემცირებული ტრასით, აღნიშნულმა პროექტმა თავიდან უნდა გაიაროს წინასწარი/საჯარო განხილვის ეტაპი“. პროექტს საჯარო განხილვის ეტაპი თავიდან არ გაუვლია, რაც „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ შესახებ კანონის მე-6 მუხლის უხეში დარღვევაა.

აქედან გამომდინარე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა 2016 წლის 27 მაისის №ი-260 ბრძანების გამოცემისას დაარღვია როგორც „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის, ასევე „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ შესახებ კანონის დასახელებული ნორმის მოთხოვნები საზოგადოების მონაწილეობის შესახებ.

სწორედ საზოგადოების მონაწილეობის ვალდებულების უგულებელყოფის, ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლობისა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების, ცოდნისა და გამოცდილების გაუთვალისწინებლობის შედეგი იყო პროექტის განმანორციელებლსა და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მოსახლეობას შორის წარმოქმნილი კონფლიქტები და არაერთი პრობლემა, რომლის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია საქმეზე და რომელიც თუმცა პალატამ არ წაიკითხა, არც შეისწავლა და საერთოდ არ გაითვალისწინა გადაწყვეტილების მიღებისას.

9. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა:

- "ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლი, რომლის თანახმად „ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარდგენილი დოკუმენტაცია:

- ა) შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ გარემოს დაცვის ნორმებსა და სტანდარტებს;
- ბ) ასაბუთებს, რომ მასში მოყვანილი საქმიანობის განხორციელება განსაზღვრულ ადგილსა და გარემოებაში არ გამოიწვევს გარემოს მდგომარეობისა და ბუნებრივი რესურსების შეუქცევად ხარისხობრივ და თვისობრივ ცვლილებებს;
- გ) ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების შემცირების ან თავიდან აცილების ღონისძიებებს (მათ შორის, ავარიული სიტუაციების შესაძლო შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებებს)“.

-„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის მშენებლობის ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს ამ კანონის მე-6 და მე-7 მუხლებისა და მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს.

-„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 მუხლის მე-3 ქვეპუნქტი, რომლის თანახმად მშენებლობის ნებართვის მაძიებელს მშენებლობის ნებართვის მისაღებად

საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში უნდა წარედგინა შემდეგი დამატებითი დოკუმენტაცია:

ა) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციური გეგმა (მანძილების მითითებით) – აღნიშნული დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველ სტადიაზე;

- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციური გეგმა ამ ეტაპზე არსებობდა მხოლოდ „ქსნის“ ქვესადგურიდან ღუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუანამდე - ვინაიდან მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის ადმინისტრაციული წარმოება სწორედ ამ პატარა მონაკვეთს ეხებოდა;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად შედგენილი გზშ-ის ანგარიში – აღნიშნული დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე;

საქმეზე წარმოდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მასალებით დასტურდება, რომ ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება კანონის არცერთ მოთხოვნას არ აკმაყოფილებდა. იგივეს ადასტურებს გასაჩივრებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები, რომლის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელს კანონის მოთხოვნების შესრულება მშენებლობის დაწყებამდე გადაუვადდა. საყურადღებოა, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებისა და დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ კანონის მოთხოვნების შეუსრულებლობაზე თვალის დახუჭვისა და ამ მოთხოვნების ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნის გაცემის შემდეგ შესრულების დავალებულების უფლებას სამინისტროს მოქმედი კანონმდებლობა არ ანიჭებს.

დ) მოსალოდნელი ემისიების მოცულობა და სახეები (მაგნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის/ჩაშვების ნორმების პროექტი;

- მოსალოდნელი ემისიების მოცულობა და სახეები ასევე არ ყოფილა განსაზღვრული - ინფორმაცია უბრალოდ არ ყოფილა წარდგენილი - რაც არ არის გასაკვირი პროექტის არ არსებობის პირობებში.

ვინაიდან საქმიანობის ზუსტი ადგილი და გარემოება არ იყო გასაჩივრებული აქტების გამოცემისას ცნობილი, შესაბამისად, წარდგენილი დოკუმენტაცია ვერ ასაბუთებს, რომ მასში მოყვანილი საქმიანობის განხორციელება განსაზღვრულ ადგილსა და გარემოებაში არ გამოიწვევს გარემოს მდგომარეობისა და ბუნებრივი რესურსების შეუქცევად ხარისხობრივ და თვისობრივ ცვლილებებს; აღნიშნულის შესახებ თავად წერს საქმიანობის განმახორციელებელი წარდგენილ დოკუმენტებში და ეს დოკუმენტები გამოკვლეული იქნა სასამართლოების მიერ, თუმცა შესაბამისი დასკვნები გადაწყვეტილებაში ასახული არ არის.

საყურადღებოა ისიც, რომ წარდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო გარემოზე ზემოქმედების შემცირების ან თავიდან აცილების ღონისძიებები - განსაკუთრებით ეს ეხება ავარიული სიტუაციების შესაძლო შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებებს. გარდა იმისა, რომ ამ ინფორმაციის არ არსებობა დადასტურდა მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზე; იგივეზე მიუთითებს გასაჩივრებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები, რომლის თანახმად, ავარიული სიტუაციების მართვის გეგმის წარდგენილ ვალდებულება მშენებლობის დაწყებამდე გადაუვადდა.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა გაცემულია 500 კვ ეგზ-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის. თუმცა, საქმიანობის განმახორციელებელი თავად მიუთითებს დოკუმენტაციაში, რომ არ განიხილავს მშენებლობის საკითხებს, ვინაიდან მშენებლობის ორგანიზებას კონტრაქტორი კომპანია გააკეთებს და უცნობია სამშენებლო ბანაკების, მისასვლელი გზების და მოედნების მშენებლობის საკითხები. ასევე, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში საერთოდ არ არის განხილული უკვე აშენებული ხაზის ექსპლუატაციის გავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე. ამდენად, რა საქმიანობის ზეგავლენა ჩათვალა სამინისტრომ დასაშვებად და გასცა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა არც დოკუმენტებიდან ჩანს და ვერც სამინისტროს წარმოდგენილმა განმარტა დავის მიმდინარეობისას.

ყოველივე აღნიშნული მიუთითებს, რომ დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის გაცემისათვის სამი აუცილებელი პირობიდან, არათუ რომელიმე, არცერთი არ იყო შესრულებული.

10. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა - "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლი, რომლის თანახმად გარემოს ეკოლოგიურ წონასწორობის უზრუნველყოფისათვის დგინდება გარემოზე საქმიანობის ზემოქმედების სხვადასხვა ნორმები. ამავე კანონის 29-ე მუხლი, რომლის თანახმად ერთ-ერთი ასეთი დადგენილი ნორმა უნდა იყოს ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმები, რომელიც არ არის სამწუხაროდ შემუშავებული. აღსანიშნავია, რომ 12/07/2007-მდე საქართველოში მოქმედებდა საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 6 ოქტომბრის №234/ნ ბრძანება „საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონებისა და სანიტარიული კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმად, საჭირო ელექტროგადაცემის ხაზებით წარმოქმნილი ელექტრული ველის გავლენისაგან მოსახლეობის დაცვის მიზნით დგინდება სანიტარიული დაცვის ზონები. საჭირო ელექტროგადაცემის ხაზების სანიტარიული დაცვის ზონას წარმოადგენს მაღალი ძაბვის გადამცემების ტრასის მიმდებარე ტერიტორია, რომელშიც ელექტრული ველის დაძაბულობა აღემატება 1ვ/მ-ს. დასაპროექტებელი 500კვტ-750კვტ-მდე ძაბვის საჭირო ელექტროგადაცემის ხაზების ღერძიდან დასახლებულ პუნქტამდე უახლოესი მანძილი, უნდა იყოს არანაკლებ 250 მეტრისა. ბრძანება 2007 წელს იმ მიზეზით გაუქმდა, რომ უნდა მომხდარიყო მისი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონთან ინტეგრირება, მაგრამ კანონის მიღების შემდეგ გაირკვა, რომ საკითხი დაურეგულირებელი დარჩა; თუმცა, დაწესებული ნორმების სანდოობა ეჭვქვეშ არავის დაუყენებია.

ამჟამად მოქმედი ნორმებიდან საკითხს არეგულირებს მხოლოდ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის №347 დადგენილება „ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის და ელექტრომოწყობილობების ელექტროსამონტაჟო და გაწყობის სამუშაოების წარმოების დროს უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“. თუმცა წესები ეხება თავად ელექტროგადამცემი ხაზების უსაფრთხოებას და მშენებლობაზე დასაქმებული პერსონალის (რომელიც მცირე დროით იმყოფება ზეგავლენის ქვეშ) უსაფრთხოებას და არ ეხება ხაზებთან ხანგრძლივი პერიოდის განვალობაში და/ან მუდმივად სიახლოვეში ყოფნის წესებს. ამდენად, გაუგებარია რით იხელმძღვანელა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, როდესაც დაგეგმილი საქმიანობა შეაფასა, როგორც ადამიანების ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო.

საგულისხმოა, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ვერ განმარტა რა ნორმით ისარგებლოა სამინისტრომ გადაწყვეტილების მიღებისას, ხოლო სს "სახელმწიფო ელექტროსისტემას" წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იხელმძღვანელეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 17 სექტემბრის №259/ნ ბრძანებით „ელექტროსტატიკური, სამრეწველო სიხშირის ელექტრული და სხვადასხვა სიხშირის ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედების ზონაში მომუშავე-მომსახურე პერსონალის შრომის პირობების სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“, რომლის 2.2.4 ნაწილის მე-2 მუხლის მე-3 ქვეპუნქტის თანახმად, „ელექტრული ველის ზემოქმედებისაგან მოსახლეობის დაცვის უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს ნორმატიული დოკუმენტის – „სამრეწველო სახშირის ცვლადი დენის საჭირო ელექტროგადაცემის ხაზებით შექმნილი ელექტრული ველის ზემოქმედებისაგან მოსახლეობის დაცვის სანიტარიული ნორმები და წესები №2971-84“ მოთხოვნათა შესაბამისად“.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1998 წლის 30 იანვრის №44/ო ბრძანების თანახმად, ქვეყნის ტერიტორიაზე ეროვნული სანორმატივო დოკუმენტაციის შემუშავება-დამტკიცებამდე დროებით ძალაში დარჩა საქართველოში 1992 წლამდე მოქმედი სანიტარიულ-ჰიგიენური წესები, ნორმები და ჰიგიენური ნორმატივები. „საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონებისა და სანიტარიული კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 6 ოქტომბრის №234/ნ ბრძანების დამტკიცების შედეგად შეჩერდა ზემოხსენებული ნორმებისა და წესების მოქმედება – №2971-84. ასევე, ზემოხსენებულ ნორმატიული დოკუმენტის მოქმედებას არ ითვალისწინებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება №1-1/251 „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“. აქედან გამომდინარე, ცალსახაა, რომ „სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ ძალადაკარგული ნორმით იხელმძღვანელა.

გასაცივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიდაუსაბუთებელია ადამიანების ჯანმრთელობისათვის უვნებლობის თვალსაზრისით, სამინისტრო სრულად დაეთანხმა საქმიანობის განმახორციელების მტკიცებას, იმის შესახებ, რომ ელექტრომაგნიტული ველების უარყოფითი ზემოქმედების თავიანთ ასაცილებლად საკმარისია 30 მეტრიანი ბუფერული ზონა. აღნიშნულით, სამინისტრომ დაარღვია ზაკ-ის 53 მუხლის მე-5 ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

ზემოაღნიშნული გარემოებების შესახებ მითითებულია სარჩელში, სააპელაციო საჩივარში შესაბამისად წარმოდგენილია ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებებიც საქმეზე, თუმცა როგორც პირველი, ისე მეორე ინსტანციის სასამართლომ საპროცესო დარღვევების გამო არასწორად შეაფასა დასახელებული ფაქტობრივი გარემოებები და მატერიალური-სამართლებრივი ნორმების არასწორი გამოყენების შედეგად საქმეზე გამოიტანა არასწორი გადაწყვეტილება, რომელიც უნდა გაუქმდეს.

11. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №31 ბრძანების მე-2 მუხლი, რომლის თანახმად გარემოზე ზემოქმედების შეფასების პრინციპებია:

- ა) დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო გადაწყვეტილებათა ტექნიკური, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური მაჩვენებლების კომპლექსური განხილვა;
- ბ) გარემოსდაცვითი ნორმების მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად საპროექტო გადაწყვეტილებათა ალტერნატიული ვარიანტების განხილვა;
- გ) ადგილობრივი ფაქტორების კომპლექსურად გათვალისწინება;
- დ) საჯაროობა და საზოგადოების მონაწილეობა;
- ე) გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში გამოყენებული მეთოდების მართებულობა, მოპოვებული ინფორმაციის, აგრეთვე დასკვნების ობიექტურობა და დასაბუთებულობა.

საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით და საქმის სასამართლო განხილვით ცალსახად დადასტურდა, რომ ჩამოთვლილი პრინციპებიდან ყველა პრინციპია უგულებელყოფილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

დებულების მე-6 მუხლის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგს: პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობის, ასევე დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიის ალტერნატივების განსაზღვრას - რასაც ადგილი არ ჰქონია.

საგულისხმოა, რომ ტექნოლოგიური ალტერნატივების განუხილველობა არ ჩათვალა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ მნიშვნელოვან დარღვევად. უნდა აღინიშნოს, რომ თავად შპს ენერგოტრანსს აქვს მუდმივი დენის ჩანართის მშენებლობის გამოცდილება, რომელიც გაცილებით უსაფრთხოა ადამიანების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, ვინაიდან მოხსნილია ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედების საფრთხე.

ყოველივე აღნიშნულით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ დაარღვია გარემოს დაცვის შესახებ კანონით დადგენილი გარემოს დაცვის მთავარი პრინციპები, რომლის თანახმად:

1. საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული (საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად) პირები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპებით.

2. გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპებია:

ა) „რისკის შემცირების პრინციპი“ – საქმიანობის სუბიექტი თავისი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას ვალდებულია მიიღოს სათანადო ზომები გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების რისკის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად;

გ) „პრიორიტეტულობის პრინციპი“ – ქმედება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე, შეიძლება შეიცვალოს სხვა, ნაკლებრისკიანი, თუნდაც უფრო ძვირადღირებული ქმედებით. პრიორიტეტი ენიჭება უკანასკნელს, თუ მისი ღირებულება არ აღემატება ნაკლებადღირებული ქმედებით მიყენებული ეკოლოგიური ზიანის შედეგად ზარალის ანაზღაურების ხარჯებს;

კ) „გარემოზე ზემოქმედების შეფასების პრინციპი“ – საქმიანობის სუბიექტი თავისი საქმიანობის პროექტირების ან დაგეგმვის დროს ვალდებულია გაითვალისწინოს და შეაფასოს ამ საქმიანობის შესაძლო ზემოქმედება გარემოზე კანონით დადგენილი წესით;

ლ) „გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობის პრინციპი“ – უზრუნველყოფილია საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობა.

12. არასწორია, უსაფუძვლო და არ უნდა იქნეს გაზიარებული პალატის დასკვნა მასზედ, რომ ვინაიდან რიგი ურთიერთობების მომწესრიგებელი სპეციალური ნორმა ადგენს სასამართლოს უფლებამოსილებას განიხილოს ეკოლოგიურ ექსპერტიზასთან დაკავშირებული საკითხები საქმიანობის განმახორციელებლის პრეტენზიასთან მიმართებით, ასევე დაინტერესებული პირების მიერ ეკოლოგიური ექსპერტიზის კანონიერებასთან მიმართებით დასმული საკითხების განხილვა სასამართლოს პრეროგატივაა. პალატის ზემოაღნიშნული დასკვნა ეწინააღმდეგება "ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტს და აქედან გამომდინარე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178.3 და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.5 მუხლით დადგენილ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის პროცედურების აუცილებლობას.

სასამართლომ დაწვრილებით გადმოწერა სზაკ-ის 2.1 მუხლის "ი" ქვეპუნქტი ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით, ასევე საკ-ის მე-60 პრიმა მუხლი, ამავე კოდექსის 178.2 მუხლი, მე-80 მუხლის მე-4 ნაწილი, "ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი, რომლითაც კანონმდებელი მხოლოდ საქმიანობის განმახორციელებელს ანიჭებს ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული დავის წამოჭრის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 30.1 მუხლის, 30.4 მუხლის, 31-ე მუხლის დანაწესები და "ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონის იგივე მე-7 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის დანაწესზე დაყრდნობით იმიტომ, რომ ამ ნორმით არის დარეგულირებული ეკოლოგიური ექსპერტიზის კანონიერებასთან დაკავშირებით სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობა ამ უფლებით მოსარგებლე სუბიექტად მიიჩნია დაინტერესებული პირი და ამგვარად გაამართლა და გახადა კანონიერი საქართველოს მთავრობის მიერ კანონმდებლობის უხეში დარღვევით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე. აღნიშნულით როგორც პირველი ისე მეორე ინსტანციის სასამართლომ ფაქტიურად უარი თქვა სასამართლო კონტროლის ფუნქციის განხორციელებაზეც, რომელიც სასამართლოს ვალდებულებაა და არა უფლებამოსილება.

ამდენად, დადგენილი და დადასტურებულია, რომ პალატამ საპროცესო ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევებით მოახდინა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების დადგენა/შეფასება, შესაბამისად მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორი შეფარდებით საქმეზე გამოიტანა უკანონო, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რომელიც უნდა გაუქმდეს.

# პრიტენზია ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-15 შენიშვნა-16

## 1. პრეტენზია

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებას წარმოადგენს ის, რომ ნებართვის მაძიებელის მიერ მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი გარემოზე ზემოქმედების ანგარიში არ იყო შედგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რითაც დარღვეულია „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის დანაწესი. აღნიშნული გარემოება არც ადმინისტრაციულმა ორგანომ და არც სასამართლოებმა დადგენილი წესით არ გამოიკვლიეს და არც შეაფასეს და რაც გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველია.

### დასაბუთება:

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებას ის, რომ ნებართვის მაძიებელის მიერ მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი გარემოზე ზემოქმედების ანგარიში არ იყო შედგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რითაც დარღვეულია „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის დანაწესი. აღნიშნული გარემოება არც ადმინისტრაციულმა ორგანომ და არც სასამართლომ დადგენილი წესით არ გამოიკვლია და არც შეაფასა და რაც გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველია.

კერძოდ: „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის ბრძანების მე-6 მუხლის თანახმად გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ა) გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზს;
- ბ) საქმიანობით გამოწვეული ზეგავლენის წყაროების, სახეებისა და ობიექტების დადგენას;
- გ) გარემოს მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილებების პროგნოზს;
- დ) საქმიანობის შედეგად შესაძლებელი ავარიული სიტუაციების აღბათობის განსაზღვრასა და მათი მოსალოდნელი შედეგების შეფასებას;
- ე) დაგეგმილი საქმიანობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასებას;
- ვ) გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისა და თავიდან აცილების გზებს, საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრას;
- ზ) ნარჩენი (კუმულატიური) ზეგავლენის, მისი კონტროლისა და მონიტორინგის მეთოდების განსაზღვრას;
- თ) პროექტების ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასების ჩატარებას;
- ი) პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობის, ასევე დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიის ალტერნატივების განსაზღვრას;
- კ) სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრას;
- ლ) საზოგადოების ინფორმირებასა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლას;
- მ) პროექტის განხორციელების შემდგომ სიტუაციის ანალიზის გეგმას;
- ნ) მოსალოდნელი ემისიების სახეობებისა და რაოდენობის დადგენას;
- ო) დაგეგმილი საქმიანობიდან გამოწვეული რისკების ანალიზს (მშენებლობის ან/და ექსპლუატაციის ეტაპზე);
- პ) დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიური ციკლის აღწერას (მათ შორის – დანადგარის საპასპორტო მონაცემები);
- ჟ) გარემოზე დადგენილ ზემოქმედებათა ფაქტორების შედეგად მიღებული გარემოს მოსალოდნელი მდგომარეობის პროგნოზს;

რ) საქმიანობის განხორციელებისა და მიმდინარეობის ეტაპისათვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების შემუშავებას, სადაც გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი უსაფრთხოების თვითმონიტორინგის პროგრამა.

განსახილველად წარდგენილი დოკუმენტი არ მოიცავდა ზემოთჩამოთვლილ ინფორმაციას, რასაც მოწმობს 2016 წლის 24 მაისის ეკოლოგიური ექსპერტიზის №27 დასკვნის პირობები - საქმიანობის განმახორციელებელს დაევალა თითქმის ყველა საკითხზე ინფორმაციის წარმოდგენა მშენებლობის დაწყებამდე.

თავად განსახილველ დოკუმენტში არაერთხელ არის აღნიშნული, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასება შეუძლებელია იმის გამო, რომ პროექტი არ არის ბოლომდე შემუშავებული (იხ.ტომი II, გვერდი 31):

„ ტექნიკური მონაცემები

- ქსანი-სტეფანწმინდის 500 კვტ-იანი ელექტროგამცემი ხაზის სიგრძე დაახლოებით 100 კმ-ია;
- დღეის მდგომარეობით, ცნობილია ელექტროგამცემი ხაზის ანძების განლაგების 208 სავარაუდო წერტილი (შემდგომში “ანძების რეკომენდებული წერტილები” ან “ანძების წერტილები”);
- კუთხის ანძების რაოდენობა – უცნობია;
- ნომინალური მანძილი ანძებს შორის – მითითებული არ არის;
- ჯგუფების (შლექციების) რაოდენობა – ორი;
- კაბელები – ალუმინის;
- ანძი – ვერტიკალური, ცხაურიანი, ერთწრედიანი, ორშლექციანი.

ტექნიკური პროექტის ზოგიერთი დეტალი ჩვენთვის ჯერაც უცნობია. მაგალითად:

- ახალი მისადგომი გზების რაოდენობა და მათი მდებარეობა; თითოეული
- გზის სიგრძე და სიგანე;
- მასალების შესანახად განკუთვნილი უბნების რაოდენობა და სიფართო (გროვები, დამხმარე ნაგებობების მოწყობა და სხვ.);
- სამშენებლო სამუშაოების დრო კონკრეტულ უბნებზე და სხვ.
- მიწის ზედაპირის წმენდის სამუშაოები;
- იზოლატორის კონკრეტული ტიპი და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ მეზობელ ანძებს შორის არსებული მანძილისა და მათ შორის მიწის ზოლის ზედაპირის ტოპოგრაფიის გათვალისწინებით, შეიძლება, ითქვას, რომ ქსანი-სტეფანწმინდის ელექტროგადამცემი ხაზის პროექტის ავტორებს ანძების ყველა საჭირო წერტილი რუკებზე დატანილი არ აქვთ. მიწის ზედაპირის წმენდითი სამუშაოები, “ფაზათშორისი” მანძილი, ანძებისა და იზოლატორის ზუსტი ტიპები მოწოდებულ დოკუმენტაციაში მითითებული არ არის. არაფერია ნათქვამი ფრინველების დამცავ ტრავერსაზე იზოლატორების გირლანდებს ზემოთ, რათა თავიდან იქნას აცილებული ფრინველების დაფრენა ტრავერსაზე იზოლატორებს ზემოთ. უცნობია შემოთავაზებული ხრეშის მუდმივი და დროებითი მისასვლელი გზების რაოდენობა, მდებარეობა და სიგრძე“.

ასევე, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს თან უნდა ერთოდეს:

- ბ) გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შედეგების განხილვის მასალები, ძირითად უთანხმოებათა აღწერით (ასეთის არსებობის შემთხვევაში); - არ ახლავს;
- გ) გარემოზე მოსალოდნელი ზეგავლენის შერბილების ღონისძიებათა გეგმები; - ზეგავლენების შერბილების ღონისძიებები ვერ იქნება წარმოდგენილი ზეგავლენის შეფასების გარეშე;
- დ) ავარიულ სიტუაციაზე რეაგირების გეგმები ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით; - არ ყოფილა წარდგენილი;
- ზ) მოკლე ცნობები პროექტის განხორციელების მიზნებისა და მისი განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებაზე; - არ ყოფილა წარდგენილი
- თ) ობიექტის განთავსების ადგილის შერჩევის კრიტერიუმები, ალტერნატიური ვარიანტების გათვალისწინებით; - არ ყოფილა წარდგენილი.

ნ) დაგეგმილი საქმიანობის მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გამონამუშევარის განთავსების ტერიტორიის (სანაყარო) ალტერნატიული ვარიანტები Iმ (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით და აღნიშნული გამონამუშევარის განთავსების შესახებ ინფორმაცია, რაც არ ყოფილა წარდგენილი.

## 2. პრეტენზია

არასწორია, უსაფუძვლო და არ უნდა იქნეს გაზიარებული პალატის დასკვნა მოსარჩელის/აპელანტის საფუძვლიანი, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებზე დაფუძნებული მოსაზრების არ გაზიარებასთან დაკავშირებით, რომ შეუძლებელი იყო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცება იმ პირობებში, როდესაც არ არსებობდა ელექტროგადამცემი ხაზის დაზუსტებული მარშრუტი და სამინისტროში წარდგენილი იყო მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების თაობაზე აქტები მხოლოდ ქსნის ქვესადგურიდან სოფელ ოქუანამდე-ტები Iმ (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით და აღნიშნული გამონამუშევარის განთავსების შესახებ ინფორმაცია, რაც არ ყოფილა წარდგენილი.

დასაბუთება:

არასწორია, უსაფუძვლო და არ უნდა იქნეს გაზიარებული პალატის დასკვნა მოსარჩელის/აპელანტის საფუძვლიანი, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებზე დაფუძნებული მოსაზრების არ გაზიარებასთან დაკავშირებით, რომ შეუძლებელი იყო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცება იმ პირობებში, როდესაც არ არსებობდა ელექტროგადამცემი ხაზის დაზუსტებული მარშრუტი და სამინისტროში წარდგენილი იყო მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების თაობაზე აქტები მხოლოდ ქსნის ქვესადგურიდან სოფელ ოქუანამდე.

"გარემოზე ზემოქმედების შესახებ" საქართველოს კანონის 8.4 მუხლის "გ" ქვეპუნქტით იმპერატიულად არის დადგენილი, რომ ნებართვის მამიებელის მიერ მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი გარემოზე ზემოქმედების ანგარიში შედგენილი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის ბრძანების მე-6 მუხლით ასევე იმპერატიულად არის განსაზღვრული ის პირობები, რომელსაც უნდა მოიცავდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და რომლის არარსებობაც უცილობლად განაპირობებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას.იმ პირობებში, როდესაც დასახელებული ნორმით ჩამოთვლილთაგან არათუ ყველა (როგორც ამას კანონი ითხოვს), არამედ არცერთი მოთხოვნა ყოფილა დაცული საქმიანობის განმახორციელებლის მიერ. კერძოდ: წარმოდგენილი დოკუმენტი არ მოიცავდა გზმ ანგარიშისათვის სავალდებულო ინფორმაციას; პროექტის ზემოქმედება განსაზღვრულ ადგილსა და გარემოებაში არ ყოფილა შეფასებული დაზუსტებული პროექტის არ არსებობის გამო; ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის ნაცვლად წარდგენილი იყო თეორიული დოკუმენტი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს გეგმა სასამართლოების დასკვნა მასზედ, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის ეკოლოგიური ექსპერტიზის უარყოფითი შინაარსი ან დოკუმენტაციის უსრულობა, რაც განაპირობებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებას არასწორია და საფუძველს მოკლებული.

საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით და საქმის განხილვით უტყუარად იქნა დადასტურებული, რომ სახეზეა სწორედ ეკოლოგიური ექსპერტიზის უარყოფითი შინაარსი და დოკუმენტაციის უსრულობა, რის გამოც საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, რომელიც არის ადმინისტრაციული ორგანო და არ აქვს



უფლება კანონსაწინააღმდეგოდ განახორციელოს მინიჭებული საჯარო უფლებამოსილება განსახილველი მოცემულობის პირობებში ნაცვლად ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცებისა უნდა მიეღო გადაწყვეტილება ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ.

### 3. პრეტენზია

დასაბუთება:

## შუამდგომლობები

*შენიშვნა-17    შენიშვნა-18*

#### 1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

#### 2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

# საჩივრის ფასი

შენიშვნა-19

# სასელმწიფო ბაჟი

შენიშვნა-20

— არაქონებრივი ღარი

— 300 ლარი

## სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, საზინის ერთიან ანგარიშზე:

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდეზი)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ  არა

რომელი ნორმა?

მტკიცებულება:

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ  არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ  არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ  არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე (მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სსკ-ის 53-ე და 54-ე მუხლების თანახმად, როგორ უნდა განაწილდეს სასამართლო ხარჯები. თქვენი გაანგარიშება სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების შესახებ).

5.

შპსი/შპსა-21

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

## თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

**დიახ**  მორიგების პირობები:

**არა**  რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

შენიშვნა-22

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა  რადგან

*შენიშვნა-23*

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

### თანდართული საბუთების ნუსხა

*შენიშვნა-24    შენიშვნა-25*

დანართი 1: სახელმწიფო ბაჟის (300 ლარი) გადახდის ქვითარი დედანი.

დანართი 2:

ფურცლების საერთო რაოდენობა:

